ტფილისი

№ 56 მარტი 14, ხუთშაბათი 1891 მარტი 14, ხუთშაბათი № 56

გაზეთი ღირს

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12	10 —	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი — ერთი შაური

ივერია

განცხადების დასაკვეთად და კერძო განცხადებათ დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას კუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1891 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1891

ივერია

გამოვა 1891 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1891 წლისთვის, მიჰმართოს:

ტფილისში: ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა სადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეაში.

ტფილისს გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელი იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის შესაწყვედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთ ს სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

სათავად-აზნაურო ბანკის თეატრში

ხუთშაბათს, 14 მარტს,

სამი ოპერეტი ერთს საღამოს

I

სუსტი მხარე

(La corde Sensible)

კომედია-ვოდევილი ერთს მოქმედებად, თხზ. ტიბოსი

II

ჟოზეფინა

სონეტი ერთს მოქმედ., თხზ. მილლოსი

III

ქ-ნი ჟუდიკი იმღერებს შანსონეტებს

IV

მენახშირეები

ოპერეტი 1 მოქმედ. თხზ. ჟილესი, მუს. დე-კოსტესი

ვაუწყებთ საზოგადოებას, რომ ტყუილია ის ხმა, ვითომ ქ-ნი ჟუდიკი ტფილისის კრუჟოკში ითამაშებსო.

დასაწყისი 8 საათზედ

ახალი ამბავი

⁂ კავკასიის მთავარ-მართებელი, გენერალ-ადიუტანტი შერემეტევი, რომლის პეტერბურგიდგან ტფილისში გამომგზავრებას მოელოდნენ თებერვლის 24 ს, როგორც ჩვენ შევიტყეთ, წამობრძანდება ამ თვეის ოცს.

⁂ მისი უმაღლესობა ჰერცოგი ორლეანელი, რომელიც ამ თვეის 11, ღამის საფოსტო მატარებლით სანადიროდ ყარაიაზში წაბრძანდა, დღეს ტფილისშივე დაბრუნდება. შემდეგ აპირობს ბაქოში გამგზავრებას.

⁂ პროფესორ კოხის მიერ მოგონილ ლიმფით ჰლექიანები ჩვენის ტფილისის სამკურნალოში ვერა რჩებიან და ერთი ამათგანი ბ-ნი ხაჩუკი ამ დღეებში უკვე გარდაიცვალა. ხოლო ჰლექას სიწეილით ავადმყოფებში პროფესორ კოხის ლიმფით ორი უკვე კარგად გახდა. ბ-ნ საჩუკის სიკვდილის შემდეგ სამკურნალოში კოხის ლიმფით წამლობა უკვე მოსპეს.

⁂ ორშაბათის კრებაზე ქალაქის საბჭომ აირჩია სხვა-და-სხვა კომისიაში შემდეგნი: განათლების საქმის აღმასრულებელ კომიტიის თავმჯდომარედ ნ. დ-ძე ზუბალოვი; ქალაქის სამხედრო საბეგრო „პრისუტსტვიაში“ წევრებად: გ. გაბრ-ძე ქართველიშვილი, ი. გ-ძე დოლინსკი და ამათ კანდიდატად: გ. მ-ძე თამამშოვი და გ. ბ-ძე ტერ-ასატუროვი; ცხენის რკინის გზის ზედამხედველად ქალაქისაგან არჩეულ იქმნა ა. ე-ძე პაშკევიჩი.

⁂ პარასკევს, 15 მარტს, ქალაქის სასკოლო კომიტეტს კრება ექნება გამგეობის დარბაზში.

⁂ მოგვყავს ანგარიში ქალაქის შემოსავალ-გასავლისა ამ წლის იანვრიდგან დაწყებული ამ თვეის 1-ლ რიცხვამდე.

იანვარში ქალაქს შემოუვიდა 151,062 მან. და 12 კაპ., დაუხარჯავს 98,421 მან. და 17 კაპ.; თებერვალში—შემოუვიდა 57,460 მან. და 89 კაპ., დაუხარჯავს—56,498 მან. და 50 კაპ. სულ ამ წლის 1-ლ იანვრიდამ მარტის 1-ლამდე შემოსავალი ჰქონია ქალაქს 208,523 მან. და 01 კაპ., დაუხარჯავს-კი 154,919 მან. და 67 კაპ. ამ გვარად 1 ლ მარტისათვის ქალაქ ჰქონდა 53,603 მან. და 34 კაპ.

აი სახელდობრ, რისაგან რამდენი შემოსავალი ჰქონია ქალაქს:

	იანვარში	თებერვალში	სულ
ა) ქალაქის მოედნებზედ ურმების დასადგომი გადასახადი	947 მ. 97 კ.	1273 მ. 43 კ.	=2198 მ. 40 კ.
ბ) საქონლის დახოცვის	2639 „ 78 „	2173 „ 96	=4813 „ 74 „
გ) ქალაქის მილის წყლის	11.241 „ 06 „	10.486 „ 59	=21,727 „ 65 „[1]
დ) უორდანოვის წყლისა	6.157 „ 77 „	923 „ 54	=7.081 „ 31 „
ე) ცხენების ბაჟისა	5.769 „ 00 „	8.289 „ 00	=14.058 „ 00 „
ვ) დასაფასებელი გადასახადისა	57.856 „ 33 „	15.249 „ 52	=73,105 „ 85 „
ზ) სავაჭრო დოკუმენტებისა და პატენტებისა	45.057 „ 58 „	1615 „ 60	=46.673 „ 18 „
ჱ) დასაფასებელის გადასახადის დროზედ შეუტანლობის ჯარიმა	1.114 „ 93 „	1582 „ 11	=2.697 „ 04 „

⁂ გორის ქალაქის თავის არჩევანი იქაურ ქალაქის საბჭოს დაუნიშნავს მარტის 24-ს.

კანდიდატებად ასახელებენ: დ. ი-ძე მუსხელაშვილს მ. ი-ძე ერისთავს, ი. გრ ძე გულიშამბაროვს და ალ. გარსევანიშვილს.

⁂ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნთ-საცავს შემოსწირეს ძველი ხელთ-ნაწერი წიგნები:

თავ. გურიელმა 1) სურათებიანი მარხვანი 2) ჟამნ-გულანი, 3) წიგნი სიბრძნისა ძისა ზირაქისა და ეკკლესიასტე. 4) ითიკა თეოლოღია და სწავლანი მაქსიმე აღმსარებელისანი 5) სურათებიანი სახარება.

ექვ. თაყაიშვილმა: 1) ჟამნი, ხუცური ხელ-ნაწერი ორი ცალი. მანვე გადმოსცა სხვისაგან გამოგზავნილი წიგნები 2) ჟამნი და კურთხევანი 3) ფსალმუნი დავითისი 4) სამხედრო ტიბიკონი 5) მიმოსვლა თელემაკისა და ათინა და 6) კრებული სხვა-და-სხვა ნაწერებისა (წამება დიმიტრისა. წამება რაჟდენისა, გარდმოცემა იოანე დამასკელისა, ექვსთა დღე ბასილი დიდისა და სხვა)· 7) ამირან დარეჯანიანი.

გ. საძაგელოვმა—სძილის პირ გულანი.

„ქართველთა წიგნების გამომცემ ამხანაგობის საზოგადოებამ ხუთი ცალი თავიანთ გამოცემულ „ხალხურ ზღაპრებისა“.

გამგეობა საზოგადოებისა გულითად მადლობას უძღვნის შემომწირველთა.

⁂ ჩვენ მოგვივიდა ახალი წიგნი ბ-ნ სტაროჟილისა Приложеніе къ Справочной книгѣ „Кавказъ“—№ 3, Кахетія. ამ წიგნში, პატარა წინასიტყვაობის შემდეგ მოთავსებულია წერილები: общій очеркъ природы и населенія Кахетіи Историческій очеркъ და Памятники древности. Населенные пункты и дороги. ამ პატარა წიგნში ბევრ-გვარი, კახეთის შესახები სახელდახელოდ გამოსადეგი ცნობანია მოთავსებული. ცნობანი დიდად სასარგებლოა მეტადრე მოგზაურთათვის.

⁂ მოსკოვიდამ მოგვივიდა ახალი რუსული წიგნი: „Периклъ и его время“, თხზ. ად. შმიდტისა, იენის უნივერსიტეტის პროფესორისა, თარგმნილი რუსულად გერმანულიდამ ა. ხახანაშვილის მიერ. წიგნს ჩართული აქვს წინასიტყვაობა მოსკოვის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტის ვ. მ. მიხაილოვსკისა. ძველის ამბებისა და მეტადრე ძველი საბერძნეთის ისტორიის მოყვარულისათვის ეს წიგნი მეტად საინტერესო და სახალისო საკითხავი უნდა იყოს.

⁂ სოფ. თერჯოლა (შორაპნის მაზრა): სოფელს თერჯოლაში ძვირად შეხვდებით იმისთანა კაცს, რომ ქართული საეკკლესიო გალობა არ იცოდეს. ამ შემთხვევაში შესანიშნავ მგალობლებად ითვლებიან აზნაურნი მხეიძენი. ამათ კიდევ წამოემატა ერთი მშვენიერი მგალობელი, აქაური ეკკლესიის ახალი მთავარ-დიაკონი ს. კვირიკაძე, რომელიც ბევრს ადგილას ცნობილია როგორც შესანიშნავი მგალობელი გურულს კილოზე და რომელსაც აქვს მოწმობა მიცემული ყ-დ სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის მიერ. ამ მოწმობის ძალით მას ნება ეძლევა გაავრცელოს გალობა ხალხში და კიდეც ავრცელებს. ერთი უბრალო დღის წირვა ისე არ გათავდება, რომ მსმენელები არ დაატკბოს მშვენიერის გალობით. ამასთანავე ის სასიამოვნო გარემოება უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ მთავარ დიაკონმა განიზრახა საეკკლესიო გალობის სწავლება ამ სოფლის საეკკლესიო სამრევლო სკოლაში და დაიწყო კიდეც და დიდის გულ-მოდგინებით ასწავლის.

⁂ იქიდამვე: ჩვენში შემდეგი საზარელი ამბავი დატრიალდა: ამ დღეებში უწყალო ცეცხლმა სულ ერთიანად გადაჰბუგა გლეხი სახელაშვილი, რომელიც საკმაოდ შეძლებული იყო. დაეწვა სახლ-კარი, ჩალა, ოთხ-ფეხი ცხოველები; ქათმები ხეებსა და საქათმოებში გამოიწვნენ და ღვინოები ქვევრებში ცეცხლისაგან გაუფუჭდა. დარჩა ცალიერ-ტარიელი ღვთის ანაბარა.

ამ დღეებშივე ქალაზე დაიწვა აზ. ს. ზ. მხეიძის მშვენიერი მოწყობილი სახლი. ჩვენს მამასახლისს ამ ჟამად რაღაც დანაშაულობისათვის დ. ყვირილის ვირის აბანოში თავი ატუცვიეს და იქ ბრძანდება. იმის ადგილზედ კანდიდატი დააყენეს და ვნახოთ როგორ მოიქცევა.

---

[1] აქედგან: კრანებიდგან წაუღიათ წყალი 8,508 მ. 41 კ. და თვით სახლებში გაყვანილის წყლისა შემოსულა 13,219 მ. 24 კ.

ფელეტონი

მეფე ერეკლე

მეფე ირაკლის სიკვდილი

IV

(დასასრული. იხ. „ივერია„ № 55)

შემდგომად არა მრავლისა ჟამისა დასნეულდა მეფე ირაკლი. სენი მეფისა იყო წყლით მანკოერება...

შემდგომად არა მრავლისა ჟამისა მივიდა სენი მომსრველი ტფილისს, რომელსაცა ქართველნი ჭირსა უხმობენ. მაშინ, ვითარცა არს ჩვეულობა ტფილისისა ერისა, ვინა სხვა მცხოვრებთა საქართველოჲსათა, რომელ თუ სადმე მოვალს სენი მომსრველი, მოერიდების ერი და განვლენ ქალაქით დედაწულითურთ, გარე ქალაქისა მთიელთა და კეთილთა ჰაერთა ქვეშე და იყოფებიან მუნ და ოდეს შემსუბუქდებიან მცხოვრებნი ქალაქისანი, ამისთვის სენი არა ხანგრძლივ დაადგრების, ამისთვის ბრძანებითა მეფის პირითა განვიდეს მცხოვრებნი ტფილისისანი გარემოთა ტფილისისათა რომელთა და კეთილ-ჰაეროვანთა ადგილთა. ხოლო მეფის ძემან მემკვიდრემან გიორგი წარავლინნა სახლეულობანი თვისნი ქსნის ხეობასა ზედა, მცირესა ქალაქსა თვისსა ახალგორს, და თვით წარვიდა თელავს, წინაშე მამისა თვისისა, ვინაიდგან მას ჟამსა მიიღო წერილი მამისა თვისისა, რომელსაცა ეხმო თვისთანა.

წელსა 1798, იანვრის 5-სა ესრეთ შემძიმდა მეფე სენითა ამით, რომელ საგონებელ იყო სიკვდილი მისი. გარნა შემდგომად სამისა საათისა, რომელსაცა ვითარცა მკვდარი იდვა სარეცელსა ზედა თვისსა, მახლობელ მწუხრისა ჟამსა კვალად მოეგო თავსა თვისსა და განცოცხლდა. და ესოდენ მხნე იყო იგი მოხუცებულებასა და ევრეთსა სნეულებასა შინა მყოფი, რომელ შემდგომად ესრეთ დამძიმებულისა მისგან სენისა მობრუნებისა, კვალადცა მსახურთა თვისთა შეწევნითა, რომელნიც უპყრობდეს მკლავთა, აღსდგის სარეცელით თვისით და საჭიროებისათვის ბუნებითისა განვიდის იგი გარეგან სახლისა მის და ეგრეთ მოიქცის საწოლადვე თვისად.

ხოლო მწუხრსა დღისა კვირიაკისასა, რომელიცა განთენდებოდა ორშაფათად, ათერთმეტსა იანვრისა რიცხვად, შემძიმდა ფრიად. და განთიად, შუაღამიდგან მეშვიდესა ჟამსა გარდაიცვალა დიდებული, სახელოვანი ესე მეფე ირაკლი მეორე, ძე მეფისა თეიმურაზ მეორისა, წელსა განკორციელებიდგან სიტყვისა ღმრთისა 1798-სა, შობითგან თვისით მეოთხმოცესა შინა წელიწადსა, სახლსა და პალატსა მას შინა სამეფოსა, თვით მასვე საწოლსა შინა, რომელსაცა შინა იშვა სახელოვანი ესე მეფე, აღესრულა.

იქმნა უკვე მას ჟამსა შინა დიდი მგლოვარება სახლსა შინა სამეფოსა და ყოველთა ერთა შორის საქართველოჲსათა, ესრეთ-ტყება და მწუხარება, რომელ ყოველი უკანასკნელიცა მცხოვრებთაგანი საქართველოჲსა იგლოვდა უმეტეს ყოველთა მახლობელთაგან თვისთა. და ვგონებ რომელ ყოველი კაცი უმეტეს ნახევარისა სიცოცხლისა თვისისა იყვნეს დიდისა კმაყოფილებითა, რათამცა ემსხვერპლათ, თუ სადამე შესაძლებელი იყო საყვარელისა მეფისა მათისა სიცოცხლისა ბრუნებაჲ, იგონებდეს მოხუცებულნი სახელოვანთა და გმირულთა საქმეთა მისთა, ჭაბუკნი ჰირნახულისა და კეთილისა და სამამაცოთა ზნითა და უხვისა მოწყალებითა აღზრდასა მათსა; ერნი ზოგად ქველის საქმეთა, მართლ-მსაჯულებათა და მარადის ხსნისათვის მამულისა თავისა თვისისა მსხვერპლობასა მეფისაგან და ღაღადება მათი აღიწეოდა ვიდრე ცადმდე...

შეამკეს უკვე გვამი მეფისა ირაკლი მეორისა ჯეროვანისა პატივისცემითა და იყოფოდა მაშინ კათოლიკოსი მწყემსი სულიერი სრულიად საქართველოჲსა ანტონი მეორე, ძე ამა მეფისა ირაკლისა. და შემოკრბეს სხვანი ყოველნი მღვდელ-მთავარნი

ჩვენსკენ ამ ჟამად ერთობ კარგი დარები დგას, ასე რომ ხეხილი მთლად გაიშალა და ნამეტანმა სიცხემ მიწები მთლად გამოჰგოლა. გლეხები მუშაობას ვერ ახერხებენ და ამის გამო დიდად სწუხან.

⁂ სოფ. საქარა (შორაპნის მაზრა): წარსულ ხსნილის მიწურულში გახშირებულმა ქორწილებმა მშვიდობიანად არ ჩაიარა ჩვენსკენ: აზნ. ბ. ნემსაძის ქორწილში ილია მერკვილაძემ მოჰკლა აზნ. სინო ქლენტი დამბაჩით. დამნაშავე შეიპყრეს და გამოძიება სწარმოებს.

◆◆

† თავ. დავით გრიგოლის ძე ერისთავი

(ქუთაისიდამ მოწერილი)

5 მარტს ქუთაისში გარდაიცვალა ნადვორნი სოვეტნიკი თავ. დავით გრიგოლის ძე ერისთავი, 73 წლის მოხუცებული.

განსვენებულის ყრმობის დროს დიდის სწავლა-განათლების შეძენის საშუალება არ არსებობდა ჩვენში, მაგრამ თავ. დავით ერისთავი იმ ძველს მხნე კაცთა დასს ეკუთვნოდა, რომელნიც თავიანთ საკუთარ ძალ-ღონით, თავიანთ თვით-მოქმედების წყალობით ემზადებოდენ ცხოვრებასთან საბრძოლველად, საზოგადო ასპარეზზე სამოქმედოდ, და ამ მხრით ნათლად გვიმტკიცებდა, რომ სასწავლებელი-კი არა ქმნის კაცს კაცად, არამედ საკუთარი შრომა, ცხოვრების დაკვირვება—ერთის სიტყვით თვით მოქმედება. ეს გარემოება არის, ჩვენის აზრით, თავი და ბოლო იმ განსხვავებულ თვისებისა, რომლითაც ახალი თაობა ძველისაგან განირჩევა: ჩვენი წინაპრები თვით მოქმედებით იყვნენ ძლიერნი, ჩვენ-კი თვით-მოქმედების უქონელობით ვართ მხნეობას მოკლებულნი. განსვენებულს დაუსრულებია სასულიერო სასწავლებლის კურსი ოც-და-მეათე წლებში.

დავით გრიგოლის ძე სიჭაბუკეში რამდენსამე ადგილს მსახურებდა და ყოველგან გამოუჩენია თავისი შესამჩნევი მიუდგომელობა, მოუსყიდველობა, პატიოსნება. მაგალითად—ყოფილა იმერეთის დროებით სამართველოს მდივნად, რამდენსამე ხანს—შორაპნის მაზრის უფროსის თანაშემწედ, სამეგრელოს მართველობის საბჭოს წევრად (1862 წ.), ქუთაისის საგლეხო საქმეთა მართველობის „წოდებრივ წევრად“ 1865 წლიდამ. ამ უკანასკნელ სამსახურში ყოფნის დროს, ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკი რომ გამართეს, თავ. დავით გრიგოლის ძე ამ ბანკის დირექტორად აირჩიეს 1875 წელს. ბანკში სამის წლის სამსახურის შემდეგ განსვენებულმა, ოჯახის გარემოებათა გამო, ხელ-მეორედ კენჭის ყრაზე უარი განაცხადა, თუმცა საზოგადოება, მისის პატიოსან სამსახურის დამნახველი, გულ-წრფელად სთხოვდა დარჩენას. საზოგადოებამ მიიღო მხედველობაში განსვენებულის პატიოსანის სამსახური და ერთხმად 2000 მანეთი მისცა ჯილდოდ.

ამას შემდეგ დავით გრიგოლის ძე სამსახურში არ შესულა, ცხოვრობდა მყუდროდ, მშვიდობიანად თავის ოჯახში და თავის მამულს უვლიდა.

განსვენებულის თანამედროვენი, მისის ცხოვრების მახსოვარი კაცები ამბობენ, რომ თავ. დავით გრიგოლის ძე ერისთავი დიდად ცდილობდა, უსწავლელთათვის გზა ეჩვენებია, მართალი უმართლოსათვის არ დაეჩაგვრინებინაო; ცდილობდა—ყოველ გვარ ი დახმარება ამოეჩინა იმათთვის, ვინც მიმართავდა რჩევისთვის, ან რაიმე საქმის გასაკეთებლად. ჩვენც არა ერთხელ ვყოფილვართ იმის მოწამე, რომ განსვენებული სრულიად უსასყიდლოდ არიგებდა და გზას უჩვენებდა უსწავლელთ, უწერდა საქმის ქაღალდებს და ყოველ გვარ ხელ-მძღვანელობას უწევდა გამოუცდელთ.

მისი ტოლი კაცები ამბობენ კიდევ, რომ განსვენებული არ ჰგავდა იმ უბრალო მომაკვდავთა, რომელნიც ამ ქვეყნის ძლიერთა წინაშე ქედს იხრიან, მიწას ჰლოკავენ, ოღონდ ჯილდო დაიმსახურონ, შემოსავლიანი ადგილი ხელთ იგდონო. ეს გარემოება იყო მიზეზი, რომ განსვენებულსარ სჭერია სამსახურში შესამჩნევი ადგილიო.

თავ. დავით ერისთავი რომ უანგარო და მოუსყიდველი კაცი იყო, ამას ამტკიცებს ის გარემოებაცა, რომ საბანკოსა და სააზნაურო არჩევნების დროს ყოველთვის იმათი მხარე ეჭირა, რომელნიც ქვეყნის უკეთეს მამულიშვილებათ ითვლებოდა, თუმცა ჰხედავდა, რომ უკანასკნელთა დასი მცირე იყო.

შვიდის წლის წინად თავ. დ. გრიგოლის ძეს მოუკვდა პეტერბურგში შვილი, რომელიც იყო ხელმწიფე იმპერატორის სასახლის კამერჰერი და რომელიც მსახურებდა და ცხოვრობდა პეტერბურგში. განსვენებულმა დავით გრიგოლის ძემ ვერ აიტანა ადვილად თავის შვილის სიკვდილი, დაჯავრიანდა, გახდა ავად და, თუმცა დიდმა ქიმიზამ ცოტათი გამოაბრუნა, მაგრამ იმავე ავადმყოფობამ, დღეს განახლებულმა, ჩაიტანა ბოლოს საფლავში.

პატიოსანი და უანგარო კაცი იშვიათია დღეს ჩვენში, და თუ თითოოროლას შევხვდებით აქა-იქ, ვალდებულნი ვართ, სიცოცხლეშიაც პატივ ვსცეთ და სიკვდილს შემდეგაც პატივით და სიყვარულით მოვიხსენიოთ მათი სახელი.

განსვენებულის დავით ერისთავის გვამის გამოსვენებას მრავალი ხალხი დაესწრო. მიცვალებული დაასაფლავეს 9 მარტს მთავარ-ანგელოზის ეკკლესიის გალავანში.

საუკუნოდ იყოს ხსენება შენი, პატიოსანო მოხუცო!

X. X.

◆◆

დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

რაჭა, 5 თებერვალი. რაჭა შედარებით სხვა საქართველოს კუთხებთან ძლიერ უკან სდგას. რომელი მხარე უნდა ავიღოთ მისი, რომ რაიმე სანუგეშოს წარმოგვიდგენდეს. ჩვენ მოწყვეტილი ვართ ქვეყანას—ჩვენ ქვეყნის არა გვესმის რა ქვეყანას ჩვენი. რაც უნდა შესანიშნავი რამე მოხდეს: ავი თუ კარგი, თვით რაჭის უსწორმასწორო გორაკები და კლდეები თუ გაიგონებენ და თითონვე ჩასთქავენ, თორემ სხვა პატრონი არ გაუჩნდება. მართალია რაჭასაც ჰყავს თითოოროლა მაღალი და საშუალო ნასწავლი, მაგრამ ეს ნასწავლები თითქმის ყველა შორეულ ქალაქებში და დაბებში არიან დაფანტულნი და იქ მსახურობენ. თუ რამე იწერება რაჭაზე—ისევ ზაფხულობით, როდესაც ზოგნი ამ სამსახურში მყოფთაგანი საგრილებლად შინ მიდიან. არც გარეშე სტუმრები გვტოვებენ უნუგეშოდ, როდესაც მკავე წყლებზედ მოდიან. მაგრამ, გაივლის თუ არა ეს ზაფხული, დავრჩებით დავიწყების წყვდიადში.

ჩვენში სოოსტატო სემინარიაში კურს დამთავრებულებიც ბევრნი არიან, მაგრამ ეს დალოცვილები თავიანთ სახლებში არიან მუდამ დამწყვდეულნი. თუ შემთხვევით ერთმანეთს ნახავენ და ასში ერთხელ ხალხში გავლენ, ისიც თუ ქორწილში მიდიან სადმე, თორემ ისე ცხვირსაც არ გამოჰყოფენ გარეთ; დიდად გათამამებულნი არიან, როცა ჰსურთ გაათენებენ და როცა ჰსურთ დააღამებენ. ეს კიდევ არაფერია: ზოგიერთ მათგანის კალენდრებში ბევრი უქმი დღეებია თურმე ჩანიშნული, რასაც წმიდად ასრულებენ. რომელ სტამბაშია დაბეჭდილი, ან ვისი შედგენილია ეს კალენდრები—არ ვიცი და ვერც შევიტყე, თუმცა ბევრს ვეცადე. თვით ეს დალოცვილები უნდა ებრძოდნენ ათას გვარს დღესასწაულებსა და უქმად ჯდომას და ესენი-კი, პირ-იქით, თითონვე უმართავენ ხელს და მაგალითს აძლევენ.

რაჭას თავისი სამაზრო ქალაქიცა აქვს—ქ. ონი. ეს ის დაბაა, სადაც ყოველ პარასკეობას ერთი კაცი რომ მაინც არ დამახინჯდეს უმოწყალო ხმალ-ხანჯლისაგან, ყოვლად შეუძლებელია. ისეთი სიკვდილი ისე ხშირია, რომ ხანდახან პარასკეობასაც არ უცდიან. როდესაც ჩვენს ყმაწვილებს უსაქმობა მოქნარებას დააწყებინებს და მოეწყინებათ, ონისაკენ გასწევენ, ორი-სამი მოიყრის თავს და ნისიად სადილობენ, სადილი ჯერ ვახშმად ექცევათ ხოლმე და შემდეგ ქეიფად, რადგან შეუძლებელია არავინ დასჭრან და არავის აუკონ ანდერძი.

დივიწყებულნი ვართ გაზეთებშიაც. „ივერიაში“ მაგალითებრ, თითქმის სულ არა იბეჭდება-რა ჩვენის მხრის შესახები. იქნება ჰგონიათ, რომ დასაწერი არაფერია და იმიტომ არას იწერებიან. სხვაგან რაც ცუდი ამბავია, რომ საქვეყნოდ გაზეთებში აცხადებენ, იმაზე უარესი თუ ხდება ჩვენში, თორემ ნაკლები არა. ეს ამბები სხვაგან თუ ცუდად მოქმედებენ, მარტო ჩვენზე იმოქმედებენ კარგად?.. თუ სხვაგან კაცის კვლა ცუდი და სამწუხარო ამბავია მოკლულის დაწიოკებულ ქვრივ - ობოლთათვის, მარტო ჩვენში-ღა იგი სასიამოვნო? თუ სხვაგან ავაზაკები დაეცემიან თავზე კაცს, უკანასკნელ გროშს ართმევენ და საწყლად სტოვებენ გაძარცულს, მარტო ჩვენ ში ამდიდრებს ავაზაკების მიერ თავს დაცემა და გაძარცვა კაცს? თუ მეზობელთა შორის მტრობა, შური, ცეცხლის წაკიდება სხვაგან მაზარალებელია, მარტო ჩვენშია სასარგებლო? თუ უსკოლობა, უსწავლელობა, სწავლისა თანაუგრძნობლობა მავნებელია სხვისათვის, მარტო ჩვენთვის არის კარგი? თუ უგზოობა სხვაგან დიდად აბრკოლებს მისვლა-მოსვლას, მარტო ჩვენა გვაქვს ისეთი ფეხები, რომ სადაც ერთ წამს ფეხს დავადგამთ სიარულის დროს, მაშინვე ჩვენ ფეხ-ქვეშ მიწა გასწორდება? მერე სად? რაჭაში, რომელსაც ეს სახელი თავისის უვარგისის მდებარეობისა გამო დარქმევია. თუ-კი სხვაგან უხიდობა კაცს აბრკოლებს, მარტო ჩვენ გამოგვესხმება ფრთები, რომ ერთი ნაპირიდამ მეორეზედ გადავფრინდეთ? თუ სხვაგან სოფლის მამასახლისები უსამართლოებას სჩადიან და იმათი მოქმედება საზარალოა საზოგადოებისათვის, მარტო ჩვენთვის არის კარგი ჩვენის მამასახლისების მოქმედება? არა და არა! ჩვენც სხვასავით ვგრძნობთ ავსაცა და კარგსაც. წარსულ ზაფხულში მოკლეს უწერას აბანოს პატრონი; შემოდგომას მოჰკლეს აზნ. მ. ბაქრაძე; შემოდგომასავე გატეხეს დუქანი სოფ. ახალ-სოფელში (ქვემო-რაჭაშია); გატეხეს ხარის თვალზე კიდევ დუქანი (ნაქერალას მთის მახლობლად არის). გამოიარა ცოტა ხანმა და ავაზაკები დაეცნენ სოფ. ბუგეულს მღვდელს მ. დ. გ—ნს და, როგორც თითონ ამბობს, ოთხი ათასი მანეთი წაიღეს; უმოწყალოდ სტუმრებს მღვდელი ბაწრით შეეკრათ და თავზე ზეწარი გადაეფარებიათ, იქნება არ გვიცნოსო. სანამ არ დაკმაყოფილდნენ და ფული არ წაიღეს ამ ვაჟბატონებმა, სიპრტყით ხანჯლის ცემით ბალაპი აღარ შეარჩინეს მ. დ. გ—ნს. ეხლა ეს ავაზაკები სოფ. სორის მთაში არიან ჩახაფრებულნი და ონისაკენ მიმავალ კაცს თუ შეხედეს, გაუძარცველს არ დასტოვებენ. ეხლა, ვისაც ორი გროში ეგულება შინ, ყველას ეშინიან და ყოველ წამს ელის თავზედ დასხმას. წარმოიდგინეთ—რომ შებინდება ცოტა, გარედ იშვიათად-ღა გამოდის კაცი, რაც უნდა დიდად საჭირო საქმე ჰქონდეს, ისე არიან დაშინებულნი ავაზაკებისაგან.

ამდენს სამწუხარო ამბავთან ორიოდე კარგი და სასიამოვნო ამბავიც მოვიხსენიოთ, რომ მკითხველს თავი არ მოვაძულოთ ასეთის გულის ჩამხურავ ამბებით. ერთი ამისთანა საქციელი პატივცემულის თავ. კ. თ. ყიფიანისაა. თავ. კ. ყიფიანი მოხუცებული, კეთილის გულის, სტუმართ-მოყვარე და საზოგადოდ დიდად კაცთ-მოყვარე კაცია. ეს კაცთ-მოყვარეობა სხვათა შორის ეხლა ხან დაამტკიცა, რომ წარსულ იანვრის ოცს რიცხვში ოც-და-ერთი კომლი გლეხი კაცი გაანთავისუფლა, მიწა-წყალი და მთა და ბარი აჩუქა ისე, რომ გროში არ გამოურთმევია. კონსტანტინემ ამ დროს

სრულიად საქართველოსანი ბრძანებითა კათოლიკოსისათა და ყოველნი ჩინებულნი ხამღვდელონი და განაშვნეს და აღასრულეს მათ წესი იგი მიცვალებულისა მეფისა. ეგრეთვე დედოფალნი მგლოვარებისა წესსა აღასრულებდეს: მეუღლე მეფისა ირაკლისა დედოფალი დარეჯან და სძალი მისი დედოფალი მარიამ, მეუღლე მეფისა გიორგისა, და სხვანი წევრნი სამეფოჲსა სახლისანი ხოლო ძეთაგან მეფისათა არავინ ყოფილა მუნ თვინიერ ვახტანგისა. და ასულნი მეფისანი, სახლეულებანი მეფისა გიორგისანი და ვიყოფოდი მეცა თვით აღმწერელი ამა მოთხრობათა მეფის ძე თეიმურაზ ჯერეთ სიყრმისა ასაკსა მყოფი მუნ, რამეთუ მზრდიდა მე პაპაჲ ჩემი მეფე ირაკლი და განუშორებლად ვიყოფოდი მისთანა და ფრიადი სიყვარული აქვნდა ჩემი. ვინაიდგან სიჩჩვილესავე შორისა ჩემისასა სახელ-მსდვა მე სახელი მამისა თვისისა და ოდეს იყოფოდა მეფე ვიდრე სნეულებასა მას შინა, ვმსახურებდი მას, ძალისამებრ ჩემისა და ასაკისა ..*)

დღესა ორმეოცსა ესვენა გვამი მეფისა ირაკლისა თელავს რადგან მოვიდოდიან კახეთით, ქართლით და ყოველთაგან სამეფოთა მისთა დედა-წულითურთ მცხოვრებნი და ჰყოფდეს იგინი გოდებასა და ტყებასა დიდთა გვამსა ზედა მისსა. ყოველნი თვითეულნი გვარნი მცხოვრებნი ქართველნი კავკასისა მთათაგანნი და თათართაგან საქართველოისათა და სხვათაგან ყოველთაგან ადგილთა მოვიდოდიან და ჰყოფდენ გლოვასა წესისამებრ მათისა.

ხოლო დღესა ოცსა ესვენა გვამი იგი მომკვდრისა მეფისა სამეფოსა პალატსა შინა. და შემდგომად ოცისა დღისა განმზადნეს მონასტერი კელით ქმნულისა ხატისა მდგომარე ციხესა მას, რომელსაცა შინა მოსახლეობენ თავადნი ყორჩიბაშიანნი, ვინაიდგან მუნით უმარჯვეს, იყო წასვენებად მცხეთად და დიდისა დიდებითა მიასვენეს მუნ, უკუ იდგეს მცხედარსა მისსა სახლეულებანი მეფეთა და ყოველნი წარჩინებულნი, გლოვითა დიდითა. და მახლობელ მონასტრისა მის, პირველვე მომზადებულსა კათედრასა ზედა დაასვენეს გვამი იგი. და იტირეს მუნ კმითა მოთქმითა და ზარისა თქმითა.

ხოლო მოვიდა დედაკაცი ვინმე მაშინ ქიზიყისა მცხოვრებთაგანი, ქერივი მოხუცებულებისა ასაკსა მიწევნილი; თუმცა-ღა იყო იგი მდაბიოთა ერისაგანი, მაგრამ ცნობილი მეფეთა მიერ და შეწყნარებული კარსა ზედა მეფისასა. იწყო ამან კმითა მაღლითა ტირილად. და ესრეთისა შესაბამითა სიტყვებითა, ტირილსა მას შინა მოიღებდა თვითოეულთა ღირს-სახსოვართა საქმეთა მეფისა მიერ ქმნულთა, რომელ ყოველნი მსმენელნი სიტყვათა მათ უმეტეს ლმობიერ იქმნებოდეს და სტიროდეს გოდებითა დიდითა და ყოველთა მიეპყრათ ყური მისა მიმართ. და განუკვირდებოდათ, თუ ვითარ ერთმან მსოფლიომან დედაკაცმან ესრედ შესაბამისა სიტყვებითა დაიტირა გვამი დიდებულისა მეფისა... თუმცაღა მრავალთა იტირეს გვამი მეფისა შესაბამად, გარნა ორნი მათ შორის აღემატნეს სხვათა: ერთი მდივანი მეფისა სოლომონ მსაჯული, რომელიცა იყო კაცი განსწავლული და პატიოსანი და მეორე ქერივი იგი ქიზიყელი, რომელიცა წინარე მოვიხსენიეთ.

ხოლო შვიდეს გვამი მეფისა ეკკლესიასა შინა და დაასვენეს მუნ ოცდღე, ვიდრემდის განამზადებდეს ყოვლა საჭიროებასა დაფლვისასა. და წარიღეს მუნით და დაფლეს დიდითა დიდებითა სასაფლაოსა მეფისა, რომელიცა არს უპირველესი კათოლიკე ეკკლესია სრულიად ივერიისა მცხეთა, სადაცა არს კათედრაცა კათალიკოსთა სრულიად მწყემსთა საქართველოჲსათა და დავლეს მუნ, მარჯვენით კერძო შინაგან დიდისა მის ეკკლესიისა, ქვემორე პირისპირ ხატისა მაცხოვრისა მეუფისა ქრისტე მხსნელისა ჩვენისა..

ესოპ

---

*) აქედგან ცხადად სჩანს, რომ ეს წერილი, რომელიც დავბეჭდეთ წოდებით „მეფე ერეკლე“ დაუწერია ბატონიშვილს თეიმურაზს.

ესოპ

შემდეგის სიტყვებით მიჰმართა: „მომიცია თქვენთვის მიწა-წყალი და მთა და ბარი, მაგრამ ამასთანავე ჩემი თავიც თქვენთვის მომინდვია! თქვენ იცით, როგორც მიპატრონებთ, მომხედავთ და დამმარხავთ სიკვდილის დღეს. სხვასაც კიდევ ბევრსა ჰპირდება გლეხებს თ. კონსტანტინე.

მეორე ამბავი: ამ თებერვლის დამდეგს სოფ. სადმელიდგან სასიამოვნო ამბავი მოგვესმა. სოფ. სადმელის მკვიდრთათვის მრავალჯერ ჩაუგონებიათ და აუხსნიათ, რომ სამრევლო სკოლა დააარსეთო, ამისათვის მხოლოდ შენობა ააშენეთ და სწავლა-კი უფასოდ იქნებაო. ეს უფასოდ სწავლა ხალხმა არ დაიჯერა და ამისა გამო დღემდის სკოლა არ დაუარსებიათ. ბოლოს სოფ. სადმელის სამების ეკკლესიის მღვდელს მ. კერესელიძეს თითონ უკისრნია თავისის ხარჯით სასკოლო სახლის აშენება და უფასოდ სწავლება. ეს მ. პ. კერესელიძე კურთხევამდის სასოფლო სკოლაში იყო მასწავლებლად და გამოცდილი მასწავლებელია. ზემოხსენებულის სკოლისათვის ადგილი უფასოდ დაუთმეს გლეხებმა, გვარად ჯაჩელიძეებმა.

ნარდაკანი

სოფ. ხაშმი, (ტფილისის მაზრა) 22 თებერვალს. „ივერიის მკითხველებს ეხსომებათ, რომ სოფ. ხაშმს რაღაც გადამდების სნეულებით 1 დეკემბრიდამ 10 თებერვლამდე 26 სული მოკვდა. ოცს ამ თვეს ხაშმს მოვიდა ბ-ნი მაზრის ექიმი სულხანოვი. ბ-ნმა სულხანოვმა სთქვა, სასურველია გავიგოთ დღემდე რა გვარი ავადმყოფობა იყოვო. ამისთვის მიემართედ [illegible] პატივცემულ მორეცკის, მუხრავანის სამხედრო მკურნალს, რომელმაც არ დაიზარა ხაშმს გამოსვლა. ბ-ნმა მორეცკიმ სთქვა, რომ ორი სახადის ავადმყოფი იყვო, არიან ავადმყოფნი ჰლექით, ტყირპით და მეტი წილი ფილტვების ანთებით, რომელსაც აქვს გადამდები ხასიათიო, თუმცა ბ-ნმა სულხანოვმა სთქვა, გადამდების სნეულებით დღეს არავინ არის ავად, გარდა ერთის ავადმყოფისა, რომელსაც სჭირს ფალარათობაო. ბ-ნმა მორეცკიმ გულის ტკივილით სთქვა, რომ ხალხს სწამს წამლობა, მაგრამ სრულებით უნუგეშოთ არის დატოვებული ამ მხრივაო. ჩემის აზრით უკეთესი იქნებოდა, რომ სამკურნალოდ (Врачебный пунктъ) სოფ. ხაშმი ამოერჩიათ, რადგან სართი ჭალის საბოქაულოს შუაგულადაც ხაშმი ჩაითვლებაო. უკეთუ ეს შეუძლებელი იქნება, ერთი გამოცდილი ფერშალი მაინც უეჭველად უნდა იყოს აქ მთავრობისაგან დანიშნიული და იმ ფერშალს პატარა აფთიაქიც უნდა ჰქონდესო. ბ-ნმა მორეცკიმ გვირჩია მოგვეგროვებინა ხუთიოდე თუმანი აფთიაქისათვის მის მხედველობის ქვეშ. ამ ფრიად საჭირო საქმისთვის შევუდექით ფულის შეგროვებას და დღეს 22 მანეთი გვაქვს შეგროვილი. მორეცკიმვე სთხოვა ბ-ნ სულხანოვს, უშუამდგომლე ხაშმელებს, თორემ ძალიან ცუდად არის ამათი საქმეო.

ბ-ნმა სულხანოვმა ინახულა სოფელში ორმოც-და-ორი ავადმყოფი. ამათში 4 ჰლექით არის ავად, 4 ფილტვების ანთებით, 1 სახადით, 1 წყალმანკით, 1 ყელის ტკივილით, 1 ნევრალგიით, 1 ნაწლევების ანთებით, დანარჩენნი ციებ-ცხელებით.

ამ წლის თთვე-ნახევრის განმავლობაში დაიხოცა 18 სული და წლამდის კიდევ დიდი დროა.

უპირველესი მიზეზი ამისი, როგორც ზევითაცა ვსთქვით, ჰავაა, მაგრამ ამ სიცოცხლის მომწამლავის ჰავის ხელის შემწყობი ჩვენი უმეცრებაა. ბ-ნი მაზრის ექიმი, თავის მოხსენებაში, მთავრობის მიმართ ამბობს: „სოფელს ხაშმს მოარული ავადმყოფობა არ არის, მაგრამ სიკვდილი ხშირია ბევრგვარის მიზეზებისა გამო: ჰავა არის ციებ-ცხელებიანი, სოფელი უწმინდური და სავსე ნაგვით, რომელიც იხრწნება და სწამლავს ჰაერს; ხმარება რკინის ფეჩებისა, რომელიც თითქმის ყოველს სახლში სდგას, სასაფლაოს შიგ სოფელში ყოფნა და ეკკლესიებთან უაკლდამოთ მიცვალებულის მარხვაო“.

ლაფიან ხეველი

◆◆

უცნაური მოხუცი

შუა-ღამე გადასული იყო, როდესაც ერთი ხანში შესული კაცი მიდიოდა დიღმის ვიწროებში. ეს სრული და ჯანმთელი კაცი ისე მიიზლაზნებოდა, რომ მთა და ბარი გასწორებული ეგონა, ტანისამოსში ვერ ეტეოდა და თითქოს გზაც ევიწროებოდა. ამ გასურებულ სიარულის დროს უცებ შედგა, რადგანაც ერთ მოხუცებულს კაცს შეეჯახა, და კინაღამ გადასჩეხა.

— ოჰ! უკაცრავად, ძმობილო, ვერა გნახე. გამარჯობა შენი.

— გაგიმარჯოს, მაგრამ კინაღამ გამარჯობაც მომისპე და დღეგრძელობაც. ახალგაზდა კაცი ხარ და ეგრე წინ დაუხედავად როგორ დადიხარ.

— ახლა ისეთი რა დაგიშავე, რომ ეგრე შეწუხდი, შე დალოცვილო, შენა!

— რაღა რა დამიშავე, კინაღამ გადამჩეხე, მაგაზედ მეტი რაღა მინდოდა.

— ვა! ძვლების გროვა იყავი? ოდხა, ბეწვის ოდენად [illegible] კინაღამ გადაიჩეხე?

— ძვლების გროვა ვარ, მაშ რა ვარ, სისხლი მე არა მაქვს და ხორცი. ცოტა მოხუცებული ვარ, ცოტაც ტვირთი მკიდია. რაღა შენი შეჯახება მინდოდა.

— ეგ პირველი და მეორე მჯერა, მაგრამ მესამე-კი მაკვირვებს, იმიტომ-რომ მე ტვირთს ვერავერს ვერა ვხედავ. რა ტვირთი, რომელი ტვირთი გკიდია განა?

მოხუცმა გაიღიმა:

— შენ რასა ჰხედავ, რომ ეს დაინახო! ვებერთელა კაცი მოვდიოდი, ვერ დამინახე და ტვირთს დაინახავ?!.

— მაშ კარგი, რაკი მე ვერა ვხედავ, შენ თითონვე მითხარი, რა არის შენი ტვირთი, ან სად მიგაქვს.

— ჩემი ტვირთი არის გლოვა, ფიქრი და დუმილი და ქალაქს მიმაქვს.

აქ ზორბა კაცს სიცილი წასქდა და გაიხარხარა.

— ვა! რას იცინი, არ მოგწონს?

— როგორ არ მომწონს, ძალიან საუცხოვო ნივთები მიგაქვს ღვთის წინაშე.

ამ სიტყვებს შემდეგს ბრგე და მოსული კაცი, რომელიც აქამდის მოშორებით იდგა, მიუახლოვდა მოხუცს, თვალები შეაჭყიტა და ჩააცქერდა.

— ოჰ, შენა ყოფილხარ, პაპა? კიდევ მიდიხარ ქალაქში? ხომ ჰხედავ, რომ პატივი არა გაქვს, ზედაც არავინ გიყურებს. ხელი აიღე რაღა, შე დალოცვილო.

— ეჰ, ჩემო ძმაო, გაუნათლებელი შვილები არ აფასებენ მამას, არ იციან რა მნიშვნელობა აქვს მამას, დედას, ძმას ან მეგობარს. ჩემს უპატიობას არადა გსთვლი და არცა მწყინს. სანამ პირში სული მიდგას, ყოველთვის უნდა წავიდე და მოვიდე, რომ თავიანთა ავი და კარგი გაიგონ.

— ეგ კარგი, მაგრამ ისეთი რამე მაინც წაიღე, რომ გავლენა ჰქონდეს, და უყვარდეს საქართველოს ხალხს. ეგ თუ მიგაქვს, ქალაქში ნუ ჩაიტან, სასაფლაოზედ წაიღე, იმიტომ-რომ სასაფლაოს საკუთრებაა ყოველივე ეგ: გლოვა, ფიქრი და დუმილი.

— შენც იმ ხალხის ჭკუისა ხარ, რომელს შორისაც მე პატივი არა მაქვს. სწორედ შენგან არიან გარყვნილნი ისინიც, შე სულელო შენა... სასაფლაო რომ არ იყოს და მკვდრებს არა ჰხედავდნენ ცოცხლები, მაშინ ქვეყანა რას ეგვანებოდა. თითონ ეს ჩემივე ტვირთი სასაფლაოს წარმოადგენს და სასაფლაო სასაფლაოზედ რად უნდა წავიღო. საქართველოში იმისთვის მიმაქვს, რომ გაუთვალისწინო ადამიანებს თავიანთი ბოლო და აღსასრული.

— ეჰ, ჩემო ბიძიავ, აბა ეგ სასაფლაოს ტარებაა ის მიზეზი, რომ გაუპატიურებენ და ზედ აღარ გიყურებენ!! საქართველოში ღვინო წაიღე და კარგი სასმელ-საჭმელი. ქართველისა ღვინოა, ღვინო! ფიქრი, გლოვა და დუმილი რა მიქვიან!

მოხუცმა გულზედ ხელი დაიკრა:

— ეჰ, აბა ეგ არის-და! მაგ ღვინომ დაღუპა საქართველო, მაგან გაანადგურა, გაადარიბა და დააუძლურა ქართველი ხალხი. სხვები ეჩხუბებიან ერთმანეთს, რომ რა არის, ლუკმა წავართვათო, მაგათ-კი ეშინიანთ. სხვები ხელ-მოჭერით სცხოვრებენ, ეგენი-კი—ხელ-გაშლით. სხვები საქმეს აკეთებენ, ეგენი ცუდად, გულხელ დაკრეფილნი სხედან. მამა-პაპის დატოვებული მამულ-დედულიც-კი ხელიდგან გამოეცალათ. ახლა დარჩენილან ცარიელ-ტარიელნი ღვთის ანაბარაზედ, სხვის ხელში შემაყურებელნი. სწორედ მაგ შენმა ნათქვამმა ღვინომ მოუტანა ეს სიკეთე ამ საქართველოს. [illegible] „მელას თავის მარჩენელა უყვარსო“, სწორედ მაგათი საქმეა. რასაკვირველია, მაგათ კიდევ ღვინო ეყვარებათ, მე რაში ვეყვარები.

— ახლა შენი წაღებული ნივთები რაღა სიკეთეს მოუტანს საქართველოს, ან რა უნდა ისარგებლონ მაგითი!..

— ის, რომ ქვეყნიერობაზედ ყველა საქმე გლოვით, ფიქრითა და დუმილით კეთდება და არა სიმხიარულითა და ჭამა-სმით. ვიდრე არ იგლოვო, ვერ გამხიარულდები; დუმილი რომ არ იყოს, ვერ დაფიქრდები, თუ არ იფიქრე, ვერც საქმეს გააკეთებ და თუ საქმე არ გააკეთე, პურს ვერ შესჭამ.

გლოვა ჰშობავს სიხარულს, დუმილი—ფიქრს, ფიქრი—საქმეს და საქმეც—პურს და ცხოვრებას. თითონ საქმე ამ სამის ნივთის ნაყოფია, უსაქმური კაცი ქვეყანაზედ მკვდარია. მაშ რა გგონია, უბრალო ნივთს წავიღებდი საქართველოში, რომ დამცინი? მე იმიტომ მივდივარ მუდამ წელიწადს, რომ ჩემის გლოვით, დუმილით და ფიქრით საქმე გავაკეთებინო, წარსული მოვაგონო, აწმყო ცხოვრებაზედ დავაფიქრო და მომავლისათვის ვაზრუნო.

— ეგ სულ კარგი, მაგრამ, როგორც მესმის შენი ლაპარაკი, მე სულ ფეხს ამომაკვეთინებს საქართველოდგამ.

— შე ოჯახ-ქორო, შენა, ეგ ტიალი და საქართველოს დამღუპავი ღვინო კიდევ არ გამოგნელდა? მე რომ ვამბობ, გლოვა სიხარულს ჰშობს და საქმე—ცხოვრებას-მეთქი, იმ საქმემ არ უნდა მოაგებინოს, რომ მიგიღონ და გულგაშლით დაგიხვდნენ? თუკი ჯიბე ცარიელი ექნებათ, რაღა თავში გიხლიან.

— ეგ კარგი, მაგრამ...

— რაღა მაგრამ, სამაგრამო და სალაპარაკო რა გვაქვს, როცა ჩემი გზა სულ სხვაა, შენი გზა სხვა და საერთო არა გვაქვს-რა. წადი, მშვიდობით, ღმერთმა აღარ შემახვედროს შენი თავი!..

ჰაზირა

◆◆

წვრილი ამბები

აღსარება ტალეირანისა

„Figaro“-მ ამას წინად დაჰბეჭდა აღსარება ტალეირანისა. ეს აღსარება, მართალია, ტალეირანს არ ეკუთნის, მაგრამ მაინც საყურადღებოა, რადგანაც გვატყობინებს თუ რა გზა ადგა ცხოვრებაში და რითი ხელმძღვანელობდა ეს შესანიშნავი დიპლომატი. მოგვყავს ზოგიერთი ადგილები ამ აღსარებიდამ.

მე სიტყვა მოსწრებულსა და მახვილ კაცს მეძახიან,—ამბობს ტალეირანი,—მაგრამ უნდა გამოვტყდე, რომ ჩემს სიცოცხლეში ერთხელაც არ მიმახვილნია. მე ყოველთვის იმას ვცდილობდი, რომ ამა თუ იმ საგნისა და მოვლენის შესახებ ღრმად დავფიქრებულვიყავ და ჭკუა დამჯდარი, მოსაზრებული და მასთან ნამდვილი აზრი წარმომეთქვა.

სულელებისა არ მეშინიან და ცილის მწამებელთა არ ვუფრთხი: ყველამ იცის, რომ არავითარს მნიშვნელობას არ ვაძლევ იმას, თუ ჩემს შესახებ ისინი რასა ფიქრობენ. მე ჩემს თავს ძველს ქოლგას ვადარებ, დიახ, ძველს ქოლგას, რომელიც წვიმას, დიდიხანია, რაც შესჩვევია.

ჩემმა ჭკუამ მხოლოდ ის სამსახური გამიწია, რომ ათასგვარი სისულელე თამამად ჩამადენინა.

ყოველივე ის, რასაც უმეტესობა ჭეშმარიტებად აღიარებს, სისულელე და ცრუმორწმუნეობაა.

როცა საზოგადოებას მთავრობის შე[illegible] ლებული ხდება საზოგადოება შეჰქმნას.

პოლიტიკის საქმემ, როგორც ცხოვრებისამ, კაცი სულ ერთიანად არ უნდა გაიტაცოს. პოლიტიკა კაცს მეტის-მეტად არ უნდა უყვარდეს.

როცა ხიფათი რამ მომელის, უმჯობესად ვრაცხ ჩემი ძალი და ღონე ამ ხიფათის შესაბრძოლებლად შევინახო, ვინემ იმის მოლოდინსა და შორიდამ დარაჯობას შევალიო. ყოველთვის მოვასწრობთ, რომ ეშმაკს სალამი მივსცეთ და ხელი ჩამოვართვათ, თუ მაინცა და მაინც იმის შეხვედრა აუცილებელია.

არც დავიწყება შემიძლია, არც მიტევება.

ბედი ერთხელაც იქნება ყოველ კაცს გაუღიმებს. თუ ბედის დასახვედრად მომზადებული არა ხართ, კარიდამ შემოვა და ფანჯრიდამ გაიპარება.

ჭკუა დიდი ძლიერებაა.

დრო და ჟამი ბრძენთა-კი არა ჰქმნის, ამხცოვანებს და წელში ჰხრის.

სიჩუმემ უფრო მეტი მასარგებლა, ვინემ ჭკუამა და მოხერხებამ.

თქვენს თავზე ცუდს ნურას ილაპარაკებთ, რადგან ისეც ბევრი გეყოლებათ პირში მაქებელი და პირს უკან მძრახველი მეგობრები.

ჭეშმარიტის მეგობრის შოვნა სასიხარულო საქმეა, თუ დიდებული კაცი არ არის. სამწუხაროდ, ჭეშმარიტი ადამიანი მთვარეზე უნდა ვეძებოთ.

პურის საჭმელი სტოლი ღერძია, რომლის გარშემო ჰტრიალებს მთელი ცივილიზაცია.

გარემოებასა და უსულო საგანს არაოდეს არ უნდა გაურისხდეთ. თქვენს წყრომასა და უკმაყოფილებაზე წარბსაც არ შეიხრიან.

მეტყველება ადამიანს იმისთვისა აქვს მინიჭებული, რომ თავისი აზრი დაჰფაროს.

ბატები იმდენს სისულელეს არ ჩადიან, რამდენი სისულელეც ბატის კალმით იწერება.

ჩემო მეგობრებო! მეგობართ ქვეყანაზე სანთლითაც ვერ მოსძებნით. ეხლა ისეთი მეგობრები არიან, რომ რასაც იტყვით—გაიმეორებენ, რასაც დასწერთ—დაჰბეჭდავენ და მერე ყოველსავე თქვენ წინაამდეგ იხმარებენ.

◆◆

გამოსადეგი ცნობანი

როგორ უნდა მოიხარშოს კვერცხი თოხლოდ? თუ ადამიანმა არ იცის ხელი თოხლოდ კვერცხის მოხარშვისა, ძალიან გაუჭირდება კვერცხის ისე მოხარშვა, რომ კარგი თოხლო იყოს—არც მაგარი, არც მოუხარშავი. ერთის ქიმიკოსს გამოუცხადებია, რომ კვერცხის თოხლოდ მოხარშვა ძალიან ადვილია. აი რა ყოფილა ამისათვის საჭირო ქიმიკოსის აზრით: უნდა აიღოთ იმდენი ჭიქა წყალი, რამდენის კვერცხის მოხარშვაც გინდათ. უნდა ადუღოთ ეს წყალი ისე, რომ სულ ჩუხჩუხებდეს. ჩააწყეთ კვერცხები, უთუოდ ყველა თანაბრად, ერთ დროს და მაშინათვე გადმოდგით ქვაბი, რომ წყალი ნელ-ნელა გაცივდეს. ამნაირად, კვერცხები მშვენივრად იქნება თოხლოდ მოხარშული. უფრო კარგია, რომ ცოტ-ცოტა მოიხარშოს ერთად და არა ბლომად, რადგან ერთბაშად ბევრი კვერცხის ქვაბში ჩაწყობა ძნელია.

სანამყენო მალამო. ბევრნაირს მალამოს ხმარობენ, რომ ნამყენი გაამაგრონ და შეუხორცონ ხეს. სხვათა-შორის ხმარებაშია ასე მომზადებული მალამოც: უნდა მოიღოთ ერთი გირვანქა ყვითელი წმინდა კოშტის სანთელი და ამდენივე ტერპენტინი (სააფთიაქო მაღაზიაში იყიდება), ნახევარ გირვანქა დაწმენდილი თეთრი ფისი (смола), ანუ კანიფოლი და 20 მისხალი გადამდნარი ქონი. მალამოს მომზადებას ასე უნდა შეუდგეთ: გაადნობთ ნელ ცეცხლზე ჯერ სანთელს, მიუმატებთ კანიფოლსა და ტერპენტინს და, როცა კანიფოლიც გადნება, ჩაუმატებთ ქონსაც. ამ დროს განმავლობაში კარგა უნდა ურიოთ, რომ მაგარი აღარა შეჰყვეს-რა მალამოს. მერე ეს მალამო ჩაასხათ ქილაში, რომელშიაც ცივი წყალი უნდა იდგეს. როცა გაცივდება, ამოიღებთ, კარგად დაჰზელთ და დაახვევთ სახმარებლად. ხმარების დროს, ხელით დაჰზელთ, წაუსვამთ ნაჭერზე და ამ ნაჭრით შეახვევთ ნამყენს იმ ადგილას, სადაც ხეს განი აქვს გაჭრილი.

◆◆

წერილი რედაქციის მიმართ

ამასთანავე გაუგზავნე „წერა-კითხვის საზოგადოებას“ 93 მანეთი, რომელიც შემოვიდა 25 თებერვალს გამართულის რუსულ-ქართულის წარმოდგენიდამ. გიგზავნით ანგარიშს და გთხოვთ დაბეჭდოთ.

შემოსავალი:

ბილეთები გაიყიდა . .	154 მ. 50 კ.
ბუფეტისა შემოვიდა. .	47 „ 50 „
სულ.	201 „ 50 „

ხარჯი:

დარბაზის ქირა	25 „ — „
მუსიკას.	15 „ — „

მემუსიკეთა ნაყრი	5 „	— „
მეზურნეებს	5 „	— „
პარიკმახერს	5 „	— „
მოსამსახურეებს	4 „	50 „
ტანისამოსის ქირა	8 „	50 „
დარბაზისა და სცენის განათება	6 „	75 „
ბუფეტის გამართვა	18 „	— „
აფიშების და ბილეთების დაბეჭდვა	7 „	50 „
წვრილმანი ხარჯი	7 „	60 „
ფულის გასაგზავნი	— „	65 „
სულ.	108 „	50 „

წმინდა შემოსავალი 93 მან.

დასასრულ უგულითადეს მადლობას ვუძღვნი ქ.ქ. ევგენია იოსების ასულს ჩიკვაიძისას, ნატალია და ოლგა პეტრეს ასულს პრინცებისას და მარია ალექსის ასულს ჭილაშვილისას; პირველთ ბუფეტის გამართვისათვის, უკანასკნელს ბილეთების გაყიდვისათვის. მადლობას ვუძღვნი იმ სცენის მოყვარეთაც, რომელნიც არ შეუშინდნენ იმისთანა ძნელ საქმეს, როგორც ქართული სცენის გამართვაა ყარსში, ხელი მოჰკიდეს და სინიდისიერადაც შეასრულეს: ქ.ქ. მართა ლუარსაბის ასულს კიკნაძისას, ნინა მიხეილის ასულს გიყიმურელისას, ელისაბედ ივანეს ასულს მელიქიძისას, ანნა ალექსანდრეს ასულს კოზლოვსკისას, ალექსანდრა პეტრეს ასულს გრიგორიევისას; ბ ნთ პეტრე ევდოკის ძეს ასტახოვს, ვასილ იოსების ძეს აბამელიქოვს, გიორგი ივანეს ძეს იაკოვლევს, თავ. ზაალ ივანეს ძეს ჯანდიერს, მიხეილ ნიკოლოზის ძეს ბექანიშვილს, ერეკლე ლუკას ძეს ხაჭრაძეს, პარუნ ხატისკავს და მალაქია ტარიელის ძეს მუსელიანს.

გნ. ოლღა იოსების ასული მიქელაძისა
ქ. ყარსი.

◆◆

დეპეშა

12 მარტი

ოდესა. ნიკოლაევსა და ხერსონ-ში ნავოსნობა დაიწყო.

რომი. იტალიამ და ინგლისმა ერთმანეთს ხელ-შეკრულობა დაუდეს იმის შესახებ, თუ რომელს რა საპოლიტიკო გავლენა უნდა ჰქონდეს აღმოსავლეთ აფრიკაში. ამ ხელ-შეკრულობით აბაშეთი იტალიას გავლენასა აქვს მიჩნეებული.

ბერლინი. გაზეთები დიდის დაბეჯითებით ამბობენ, რომ თანდათან უფრო ერცელდება სირიაში გერმანიის გავლენა და ვაჭრობაო.

პეტერბურგის ბირჟა, 12 მარტი.

	მყიდველ-ნი.	გამყიდვე-ლნი.	გარიგე-ბანი.
	მან. კ.	მან. კ.	მან. კ.
ხუთ-მანეთიანი ოქრო	— „	— „	$6\frac{3}{4}$
ტამოჟნის კუპონები	— „	— „	135
მანეთიანი ვერცხლის ფული	— „	1 07	— „
5% პირველის შინაგანის სესხის მოგები ბილეთი	237	— „	— „
—მეორისა	— „	— „	$222\frac{1}{2}$
სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის ფურცელი	$212\frac{1}{2}$	— „	$216\frac{1}{4}$
გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა	— „	— „	— „
ქუთაისის ბანკისა	— „	— „	— „
ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა	— „	— „	— „

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსისკსა და კერჩში შეივლის

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკეობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის. სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მაისწრობს მოკლეს გზით მოსიარულე გავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მაისწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდან გადაწყვეტილს ჯადაზე გემები.

განცხადებანი

„სიჭაბუკის ცოდვა“

ფრიად კარგი და გამოსაყენებელი წიგნია იმათთვის, ვინც დასნეულებული და დაავადებულია ონანიზმითა და თავ-აშვებულის ცხოვრებით.

თხზ. დ—რის ლორენცისა.

რუსულად გამოცემული დ—რ გ—ლის მიერ.

ფასი ერთი მანათი.

ამ სასარგებლო წიგნში ბევრი საშუალებაა დასახელებული ზემოხსენებულ მანკის შედეგის ასაცილებლად და დასნეულებულის ჯანისა და ღო-[illegible]

წიგნი ნება-დართულია მოსკოვის საცენზურო კომიტეტის მიერ.

საწყობი იმყოფება ოტტო ასპერგერთან ლეიპციგს—Otto Asperger Leipzig (საქსონიას). უცხო-ქვეყნელნი წიგნის გაგზავნის ფასს იხდიან.

(40—36)

გამოვიდა და ისყიდება

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ და ქართველთა ამხანაგობის წიგნის მაღაზიაში:

ბორკილი

დრამა ოთხს მოქმედებად

თხზულება

ა. ი. სუმბათაშვილისა

თარგმანი ა. შ. ახნაზაროვისა

დრამას წინ უძღვის მთარგმნელის წინასიტყვაობა, რომელშიაც მოთავსებულია ბიბლიოგრაფია თ. სუმბათაშვილის პიესებს შესახებ, და მოთხრობილია ავტორის მცირე ბიოგრაფია.

ფასი 40 კაპ.

გამოვიდა და ისყიდება

მხოლოდ „წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში“

პატარა კახი

ისტორიული ხუთ-მოქმედებიანი დრამა ლექსად

აკაკისა

ფასი 50 კაპ.

„წერა-კითხვის საზოგადოების“

წიგნის მაღაზიამ

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები.

	მან.	კაპ.
ხალხური ზღაპრები შეკრებილი აღნიაშვილის მიერ	„	30
ლექსები ნ. ბარათაშვილისა ახალი გამოცემა	„	30
რამდენიმე ლექსი ცახელისა.	„	15
საქართველოს დიდი კალენდარი გ. გუნიასი 1891 წ.	„	40
სახალხო ჯიბის კალენდარი მისივე	„	10
თხზულებანი გ. ერისთავისა მშვენიერს ყდაში ავტორის სურათით.	2	„
ქართულ-რუსული ლექსიკონი დ. ჩუბინაშვილისა სამივე ნაწილი	8	„
ქართული ლექსიკონი შედგენილი საბა-სულხან ორბელიანისაგან	3	„
გზა ცხოვრებისა შედგენილ წმიდისა ალ. ლიგუორისაგან	1	„
ჰამძღვარი ზეცისა.	„	50
წმიდათა ცხოვრება	1	20
იგავნი ფილოსოფოს ეზოპისა	„	40
სიბრძნე კაცობრივი	1	„
ბრძ[illegible]	„	30
მოკლე სახელმძღვანელო ფრანგული ენისა. ყდით	„	50
მოკლე ფრანგული გრამატიკა.	„	40
მოკლე მსოფლიო ისტორია ძველთა და ახალთა ნათესავთა დასაბამიდგან სოფლისა ვიდრე დღევანდლამდე. ყდით.	1	20
მოკლე გეოგრაფია ფიზიკებრივი, მოქალაქებრივი და ისტორიებრივი დამატებით ძველი გეოგრაფიისა	„	50
მოკლე ქართული გრამმატიკა დამატებით გრამმატიკური და ლოღიკური ანალიზებისა	„	40
მოკლე რეტორიკა, ანუ მჭევრმეტყველება სასარგებლოდ ახალგაზრდა ყმაწვილ-კაცისა. ყდით.	„	50
მოკლე ფილოსოფია, გინა სიბრძნის მოყვარეობა, რომელიც შეიცავს ფსიხოლოღიას, ლოღიკას, ბუნებით ღვთის მეტყველებას და ზნეობას. ყდით	„	50
წამება ლექსად თქმული ცხოვრება წმიდისა ესტატესა. ყდით	„	60
ყვავილების კონა, ანუ რჩეული ლექსები სასარგებლოდ ახალგაზდა ყმაწვილ კაცთა.	„	50
საქართველოს სამოთხე საბინინისა ოცდა შვიდი სურათით	10	„
Книга Калилаһ и Диманаһ или сборникъ Басенъ извѣстныхъ подъ именемъ басенъ Бидпая, переводъ съ арабскаго М. О. Аттая и М. В. Рябинина, цѣна.	3	„
Матеріалы для русской исторіи, С. Ал. Бѣлокурова	3	„
Сношенія Россіи съ Кавказомъ, С. А. Бѣлокурова	3	„
Поѣздка старца Арсенія Суханова въ Грузію 1637—1640 гг.	„	25

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ივერია

1891 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

12 თთვით	10 მ.—კ.	6 თთვით	6 მ.—კ.
11 „	9 „ 50 „	5 „	5 „ 25 „
10 „	8 „ 75 „	4 „	4 „ 70 „
9 „	8 „ — „	3 „	3 „ 50 „
8 „	7 „ 25 „	2 „	2 „ 50 „
7 „	6 „ 50 „	1 „	1 „ 75 „

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ, Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, არა საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დკან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.

ქართველთა ამხანაგობის წიგნების მაღაზიაში

ისყიდება შემდეგი ახალი წიგნები.

1) ხალხური ზღაპრები, შეკრებილი აღნიაშვილის მიერ წიგნი I.	„	30
2) იგივე, მშვენიერის ყდით	„	75
3) თხზულებანი ი. დავითაშვილისა სურათით „Facsimile“ თი და [illegible]	„	80
4) იგივე მშვენიერის ყდით	1	25
5) „დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა“ ლეგენდარული პოემა ბაჩანასი.	„	15
6) „სურამის ციხე“ გამოც. მესამე გრ. ჩარკვიანისა	„	25
7) „მარაბდა“ პოემა ანტ. ფურცელაძისა	„	20
8) „წყალობა“ პოემა მისივე	„	20
„ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა“ ანუ „მეორე ნაწილი ქართლის მოქცევისა“ გამოცემული რედაქტორობით და წინასიტყვაობით ე. თაყაიშვილისა	„	40
10) ანდერძი ანტონის II, საქართველოს კათალიკოსისა, გამოცემული დ. ფურცელაძის მიერ	„	30
11) რამდენიმე ლექსი ცახელის.	„	15
12) „სამი ისტორიული ხრონიკა“ ექვ. თაყაიშვილისა	1	„
13) „Древнѣйшіе предѣлы разселенія грузинъ по Малой Азіи ა. ხახანაშვილისა.	„	50
14) „ბატონყმობა საქართველოში რუსეთთან შეერთებამდის ისტორიული გამოკვლევა ა. ხახანაშვილისა	„	50
15) „ქართული სახელმძღვანელო ნოტებისა“ შარაბიძისა.	„	60
16) „დემეტრეს სახლობა“ მოთხრ. ს. მგალობლიშვილისა.	„	15
17) „თამარ ბატონიშვილი“ ისტორ. რომანი რჩეულიშვილისა.	1	„
18) „Руско-грузинскій словарь“ вновъ составленый по новѣйшимъ русскимъ словарямъ დ. ჩუბინაშვილისა	3	50
19) „არჩილიანი“ გამოც. მაჩიტაძისა-დიმელისა	„	75
20) „მიბაძვა ქრისტესი“ თხზ. თომა კემპელისა თარ. ლათინურიდგან ა. მღებრიშვილისა წიგნი III და IV ყდით	„	80
21) იგივე უყდო	„	60
22) „მიბაძვა ქრისტესი“ წიგნი I და II ყდით	„	70
23) „შვილის აღზრდა“ პედაგოგიური წერილები თ. ხუსკივაძისა	„	20
24) „ყმაწვილების ფიზიკური აღზრდა“ გ. იოსელიანისა	„	20
25) „ძველის დება“ მეფე გიორგი ბრწყინვალესი“ ნ. ურბნელისა	„	25
26) „ივანიამ რა ჰქმნა“ მოთხ. ი. გოგებაშვილისა	„	10
27) „კიკოლას ნაამბობი“ ისტ. პოემა აკაკისა	„	20
28) „ბორკილი“ დრამა თარ. ახნაზაროვისა	„	40
29) ქანნა—დარკ	„	5
30) ბერლინის გარემოცვა	„	5

ქალაქ გარეთ მცხოვრებთ შემდეგის ადრესით უნდა მიმართონ:

Тифлисъ Въ Книж. Магазинъ „Грузинскаго Издательскаго Товарищества“

Лорисъ-Меликовская ул. д. Зубалова.

Тифлисъ, Доз. цен. 13-го Марта 1891 г. Типографія Я. А. Мансвѣтова, на Лорисъ-Мелик ул. домъ Мдивани. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.